



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302304134
თარიღი: 10/02/2023

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

ბ ა ტ ო ნ ო ბ ე ს ი კ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-13 მუხლისა და „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილების შესაბამისად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023 - 2028 წლების მუნიციპალური სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მომზადდა „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილების საფუძველზე.

საკითხის საკრებულოში განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერის მოადგილის, თორნიკე ტიკაძის კანდიდატურას.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023 – 2028 წლების მუნიციპალური სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-13 მუხლისა და „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილების შესაბამისად

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023 – 2028 წლების მუნიციპალური სამოქმედო გეგმა“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

შესავალი

მომზადდა „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-30 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2023-27წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ „საქართველოს მთავრობის დადგენილება #414 2022 წლის 9 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება ბ.30.3022290001 - ით,ცვლილება ბრძანებაში-ბ.30.30222927,ცვლილება ბრძანებაში ბ.30.302223144 ლანჩხუთის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

სარჩევი

რეზიუმე

- 1.1 დაგეგმვის საფუძველი
- 1.2 მუნიციპალური მართვის გეგმის მიზანი
- 1.3 გეგმის შემუშავების პროცესი
- 1.4 არცებული მდგომარეობის მიმოხილვა
- 1.5 სხვადასხვა ალტერნატივის მიმოხილვა
- 1.6 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

არსებული მდგომარეობა

- 2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
- 2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა

ა) გეგმის ჩარჩო

ბ) დაგეგმვის პროცესის აღწერა

მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1 შასავალი

3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

3.3 ნარჩენების რაოდენობა

3.4 ნარჩენების პროგნოზირება

3.5 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

4.1 არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა

4.2 შეგროვებისა და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები

4.3 ქუჩების დასუფთავება

4.4 შეგროვებისა და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები

4.5 შეგროვების და დაფარვის არეალი

4.6 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

4.7 ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები

4.7 ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

4.8 აღდგენა (რეციკრირება და კომპოსტირება)

4.8 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

4.9 არსებული ტარიფები და ხარჯების ფაქტობრივი ანაზღაურება (მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებული გამოცდილება

4.10 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

აკრონიმები

გბრდს-გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

რგის - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მნმკ - შ.პ.ს. “მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ნმესგ - ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა:

ნმეს - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია

მგვ - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

გეს - გარემოს ეროვნული სააგენტო

ტერმინტა განმარტება

ნარჩენები -- ნებისმიერი ნივთიერება არის ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები-- მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები , საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები , რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.

ნარჩენების წარმომქმნელი- პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები, ან პირი, რომელიც ანხორციელებს წინასწარ დამუშავებას, შერევას ან სხვა საქმიანობას, რის შედეგადაც ამ ნარჩენების თვისებები ან შემადგენლობა იცვლება.

წყარო -- ადგილი , სადაც წარმოიშობა ნარჩენები

ნარჩენების დინება-- ნარჩენები ტიპების მიხედვით

ნარჩენების მართვა-- ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება , ასევე ამ ღონისძიებების ზედამხედველობა და განთავსების ადგილის შემდგომი მოვლა.

ნარჩენების განთავსება-- დინებებისა და კლასების მიხედვით სხვადასხვა ნარჩენს სხვადასხვა განთავსების ადგილი გააჩნია მათი შემდგომი ჩამარხვის , გაუვნებლობის ან გამოყენების გზით. მისი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე.

ნარჩენების გაუნებლებლობა და განთავსების ობიექტი--- სპეციალურად მოწყობილი ადგილი, ნაგებობა ან სათავსო, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების გაუნეკლობის ან გამოყენების გზით. მისი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე.

ნარჩენების გაუვნებლობა-- ნარჩენების სხვადასხვა ტექნოლოგიური დამუსავება(მათ შორის , ნარჩენების დაწვას სპეციალური დანადგარებში) ადამიანის ჯამრთელობასა და გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდანაცილების მიზნით.

დანაგვიანება-- ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან მიტოვება,გარდა ამ მიზნით გამოყოფილი კონტეინერებისა და ადგილებისა.

ნარჩენების დახარისხება „დინების“მიხედვით,როდესაც სხვადასხვა ტიპის ნარჩენები ცალ-ცალკე გროვდება და სხვადასხვა ადგილი გააჩინა.

ნარჩენების მდგრადი ინტეგრირებული მართვა--ეს არის სისტემა ,რომელიც შესატყვისია იმ პირობებისთვის ,რომელშიც ის ფუნქციონირებს ტექნიკურ, სოციალურ,ეკონომიკურ, ფინანსურ, ინსტიტუციურ და გარემოსდაცვით პერსპექტივაში და რომელცაც შეუძლია შეინახოს თავისი თავი დროში საჭირო რესურსების შეუმცირებლად.

ინტეგრირებული--არის სისტემარომელიც გამოეყენებს ერთმანეთთან დაკავშირებულმეგროვებისა დადამუშავების ვარიანტებს სხვადასხვა მასშტების დასახლებებში

ხედვა

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“მიღებული იქნა 2015 წლის იანვარში. კოდექსი ეფუძნება საქართველო- ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ნარჩენების მართვის კოდექსი არეგულირებს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და მათ ხელახალ გამოყენებას, ნარჩენების აღდგენის, რეციკლირების და უსაფრთხო განთავსების საკითხს. მათ შორის ისეთ საკვანძო საკითხებს როგორც არის : მოთხოვნები ნარჩენების კლასიფიკაციის, აღრიცხვის და ანგარიშების, შეგროვების, ტრანსპორტირების და წინასწარი დამუშავების შესახებ. მუნიციპალური, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების შესახებ. ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ; ინსინერაციის და თანაინსინერაციის შესახებ.

ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე მიღებულია ოცი კანონმდებარე აქტი, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ნარჩენების მართვის სფეროში გააჩნია სხვა საერთაშორისო ვალდებულებებიც. კერძოდ, საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელისა და „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის კონვენციების მხარე.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მიზნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პრიორიტეტებს შორის. კერძოდ ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, მათ შორის მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით. აღნიშნული ამოცანის მილსაღწევად ქვეყანამ სრულად უნდა უზრუნველყოს წარმოქმნილი ნარჩენების რეგულარულად შეგროვება, გადამუშავება და განთავსება.

ნარჩენების მართვის კოდექსის დებულებების და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების აღსრულება უაღრესად მნიშვნელოვანია და ეს პროცესი გაუმჯობესებას საჭიროებს როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, კვლავ ფუნქციონირებს უკანონო ნაგავსაყრელები, გრძელდება დაცული ტერიტორიებისა და ტურისტული კომპლექსების, ასევე სხვა ტერიტორიების დანაგვიანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზაცია, მისი ეფექტიანი განხორციელება და აღსრულება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ქვეყანაში ნარჩენების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

2. მიზნები

„სამოქმედო გეგმა“ ნარჩენების მდგრადი ინტეგრირებული მართვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის და გეგმა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომის მიხედვით. აღნიშნული გეგმის მიზნებია ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, კომერციული ობიექტების და ადგილობრივი საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა ასევე მიზნად ისახავს, მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვას და გამართულ ფუნქციონირებას, აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის „ეროვნული სტრატეგიის“ და „ნარჩენების მართვის მოქმედებათა გეგმის“ მიზნებისა და ამოცანების მიღწევას 2023-2028წწ. მინიციპალიტეტის დონეზე.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნარჩენების მართვა რთული პროცესია და მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ სისტემებთან, ხანგრძლივი პროცესია. შესაბამისად, წინამდებარე სტრატეგიის მიზანია შექმნას მყარი საფუძველი ქვეყანაში ნარჩენების მართვის სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

არსებული გამოწვევები და შესაბამისი მიზნები დაჯგუფებული არის შემდეგ მიმართულებად.:

1. კანონმდებლობა
2. ნარჩენების მართვის დაგეგმვა
3. ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება
4. ნაგავსაყრელები
5. პრევენცია, ხელახლა გამოყენება
6. ხარჯების ამოღება
7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება
8. მონაცემები ნარჩენების შესახებ
9. მართვის შესაძლებლობები

10. სახიფათო ნარჩენების მართვა
11. პლასტიკის ნარჩენების მართვა
12. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვა.

კანონმდებლობა

საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა რეგულირდება საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2023-2027 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირებული ხელშეკრულების დოკუმენტის 2014 წ. ფარგლებში განხილული და შესატანხმებელი ევრო დირექტივების კონკრეტული მუხლები.

საქართველოს კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ განსაზღვრულია ნარჩენების მართვაზე მოსაკრებლის ზღვრული ოდენობა მოსახლეობის, იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციებია:

ბაზელის კონვენცია-- სახიფათო ნარჩენების ტრანსსაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ (1989წ)

როტერდამის კონვენცია- ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებათა და პესტიციდების საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურების შესახებ (1998წ)

სტოკჰოლმის კონვენცია--- მდგრადი ორგანული დაბინძურების შესახებ @006 წ)

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (1992წ)

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის „მე-16 მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის საკუთარი (ექსკლუსიური) უფლება მოსილებები, რომელიც მე2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებებია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება და მუნიციპალური ნარჩენების მართვა“

ასევე 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლის შემოღება და გაუქმება.

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და 2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“

რომელმაც მიზნად და ამოცანად განისაზღვრა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა:

- ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შამცირებით.
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნით
- რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

მუნიციპალიტეტის კომპეტენციას კოდექსის მე- 6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების მართვა.

კანონმდებლობის სფეროში არსებული გამოწვევები

კანონმდებლობის სფეროში არსებული გამოწვევებია:

- საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების ეროვნული კანონმდებლობაში ასახვის პროცესის გაგრძელების საჭიროება
- ეროვნული საკანონმდებლო და საერთაშორისო მოთხოვნების სრულად აღსრულების საჭიროება

ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებამდე საქართველოში არ იყო ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემა და არც სამართებრივი ვალდებულება არსებობდა. ასევე, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ ნარჩენების მართვის გეგმები.

ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე 2016 წელს მიღებული იქნა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-30წწ) და ნარჩენების პირველი ხუთწლიანი გეგმა (2017-2022 წწ)

ნარჩენების მართვის დაგეგმვის სფეროში არსებული გამოწვევებია;

-მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის გაუმჯობესების საჭიროება

--მუნიციპალური მართვის ნარჩენების

2. ზოგადი მიმოხილვა მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი , რომლის ადმინისტრაციული ერთეულია ქ.ლანჩხუთი, მოიცავს 16 ადმინისტრაციულ ერთეულს, ერთ ქალაქს და 54 სოფელს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იგი გურიის მხარის შემადგენელი ნაწილია.დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვის სანაპირო ზოლი,მუნიციპალიტეტის 9800 ჰა უჭირავს კოლხეთის ეროვნულ პარკს. მთიანი ზოლის სოფლები განლაგებულია 400-500-მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მუნიციპალიტეტის უმეტესი ნაწილი სუბტროპიკულ ზონას წარმოადგენს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარე სუფსა, ორაგვისღელე და ფიჩორი. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ნოტიოსუბტროპიკოლი ჰავის ოლქს. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 2-12 *C ლანჩხუთისმუნიციპალიტეტის ტერიტორია 535 კვ.კმ. სასოფლო -სამეურნეო მიწების რაოდენობა შეადგენს 22268 ჰა; საძოვარი -3614 ჰა, სახნავი 11858 ჰა; საკარმიდამო -1800 ჰა . ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ურბანული ტერიტორია215 კვ.კმ. წარმოადგენს, ხოლო არაურბანული320 კვ. კმ

წლები	1989	2002	2014	2022
ურბანული	9118	7971	6450	6450
არაურბანული	33002	32284	25236	25236
სულ	42120	40255	31683	31683

უნდა აღინიშნოს რომ ურბანულ ტერიტორიაზე 1989 წლიდან 2022 წლამდე ფიქსირდება ზრდა

1989 წელი 9118 კაცი,

2002 წელი 7971 კაცი,

2022 წელი 6450 კაცი

შემცირდა 1521 კაცით

არაურბანულ ტერიტორიაზე

1989 წელი ფიქსირდება 33002 კაცი

2002 წელი 32284 კაცი

2022 წელი 252683 კაცი

შემცირდა 7766 კაცით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლთა რაოდენობა

საცხოვრებელი ერთეული სახლები	1989 წელი	2002 წელი	2014 წელი	2022წელი
ურბანული				
არაურბანული				
კორპუსი	25	25	25	25

--	--	--	--	--

ურბანულ ტერიტორიაზე კორპუსში მცხოვრებთა სტატისტიკა ასეთია

^ 3 კორპოსი 70 ბინიანი

^ 10 კორპუსი 15 ბინიანი

^ 12 კორპუსი 26 ბინიანი

ლანჩხუთის ტერიტორიაზე კერძოდ სოფ . გრიგოლეთის შავი ზღვის სანაპიროზე არის შემდეგი სასტუმროები:

1. შპს ანდამატი -70 ადგილით
2. შპს ლაშთანი 55 ადგილით.
3. შპს ვილარეტა -35 ადგილით
4. შპს სიყვარულის ბუდე- 30 ადგილით
5. შპს ვილა სანაპირო
6. აისი
7. ცენტრალი
8. ვილა გრიგოლეთი
9. ცისფერი დელფინი
10. ვილა პლიაჟი
11. ვილა შავ ზღვაზე
12. მწვანე სახლი
13. გრიგოლეთი
14. მუსე
15. ყვავილნარი

16. გიო-მარი
17. საოჯახო სასტუმრო მანა-მანა
18. საოჯახო სასტუმრო ვილა
19. საოჯახო სასტუმრო გიორგი
20. საოჯახო სასტუმრო გრიგოლლექტინსკაია
21. საოჯახო სასტუმრო ყვითელი სახლი
22. საოჯახო სასტუმრო მარი
23. საოჯახო სასტუმრო სახლი
24. გრიგოლეთი ბიჩრიტორტ -

აქედან ანდამატი და გრიგოლეთი ბიჩრიტორტი მუშაობს წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი სეზონურად.

გრიგოლეთშიარის 350 სააგარაკო სახლი, სადაც ყოველწლიურად 8000----- ადამიანი ისვენებს.

გრიგოლეთში ცხოვრობს 25 0 კომლი, რომელიც აგრეთვე იღებს დამსვენებლებს დაახლოებით-1500---- კაცს,

ამგვარად სულ გრიგოლეთში ყოველწლიურად ისვენებს -9500----- კაცი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 16 ადმინისტრაციული ერთეული და 54 სოფელია. მუნიციპალიტეტის ოჯახის წევრთა რაოდენოდა საშუალოდ 3 ადამიანს შეადგენს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებს 7 ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება , სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, ცენტრალური საავადმყოფო,კლინიკა „მედალფა“

#	თემი	სოფელი	კომლი	მოსახლეობა
1	აცანა	აცანა ტელმანი	393	1052

2	აკეთი	გაგური, ზემო აკეთი, ქვემო აკეთი, ჭანჭათი	485	1298
3	მამათი	კონჭკათი, მამათი, ქვემო მამათი, შათირი	280	749
4	ნიგოთი	ნიგოთი, ქვიანი, ჩოლოზბარგი, ჭყონაგორა, ჯაპანა, ჯიხეთის მონასტერი.	933	2497
5	შუხუთი	ზემო შუხუთი, ქვემო შუხუთი	892	2387
6	მაჩხვარეთი	მაჩხვარეთი, ორაგვე, ჯუნმერე	546	1461
7	გვიმბალაური	გვიმბალაური, ჯუნეწერი	889	2380
8	ჩიბათი	ზემო ჩიბათი, ქვემო ჩიბათი, ჭალა.	668	1788
9	ლესა	ლესა, ჭინათი	396	1060
10	ჯურუყვეთი	ბაღლეფი, ეწერი, ჯურუყვეთი	585	1566

11	ნინოშვილი	ნინოშვილი ,ყელა	232	621
12	ნიგვზიანი	არჩეული,ნიგვზიანი,ჩანჩეთი,ხაჯალია	816	2184
13	ჩოჩხათი	გულიანი.კოკათი,მოედანი შრომისუბანი ჩოჩხათი,ხორეთი,ჯიხანჯირი	706	1890
14	ღრმაღელე	ოფარეთი,ორმეთი,ღრმაღელე, წყალწმინდა	671	1796
15	სუფსა	ახალსოფელი,გრიგოლეთი,სუფსა, ტაბანათი,ჩქუნი	1932	5172

11762 31486

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“ მოიცავს იმ ძირითად საქმიანობას, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ორგანული კანონის“ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსებისა და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, „სამოქმედო გეგმის“შესრულებაზე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციას წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი, რომლის საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებები,ნარჩენების მართვისა და დასუფთავების ნაწილში არის:

- ტერიტორიის დაგვა -დასუფთავება;
- ნარჩენების გატანა;
- სანიაღვრე არხების გაწმენდა- შეკეთება;
- ბალახისა და ხეების მოჭრა,ბაღის ნარჩენების გატანა;
- გარე განათება
- ტექნიკური წყლის სისტემის ექსპლუატაციის

მუნიციპალური ნარჩენების შესაგროვებლად ძირითადად გამოიყენება ლითონის ან პლასტიკის -1,100 ლ.მოცულობის კონტეინერები, ასევე ტერიტორიების მომსახურეობა უმეტესად ხდება შეტყობინების (ზარის სისტემის) მეშვეობით. ნარჩენების შეგროვება ქალაქში ხდება დღეში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო სოფლად კვირაში ორჯერ ან სამჯერ ხდება. ტურისტულ ზონაში უფრო ხშირად სეზონის შესაბამისად.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებაზე და ქუჩების სასუფთავებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრი.

შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია მთავარი დაინტერესებული მხარის - საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობის პროცესი. საზოგადოებას შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს სისტემის მდგრად განვითარებაზე.

საზოგადოების ჩართულობა იძლევა შესაძლებლობას, რომ განისაზღვროს პრიორიტეტები და სისტემის ფუნქციონირების პროცესში იყოს მონაწილე მხარე.

გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა რიგი საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.

ნარჩენების მართვის არსებული სისტემის შესახებ მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით ადმინისტრაციულ ერთეულებში რწმუნებულების მეშვეობით გამოიკითხა თექვსმეტივე ადმინისტრაციული ერთეულის 50 ოჯახი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბ.30.3022290001 თარიღი 17/10/2022წ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. თორნიკე ტიკაძე - ჯგუფის თავმჯდომარე (მენეჯერი)- მერის მოადგილე
2. ნინო კიკვაძე -ჯგუფის წევრი- მერის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახური საბიუჯეტო განყოფილების უფროსი
3. ლელა ჯვართავა- -ჯგუფის წევრი- მერის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურისა ხაზინო და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილების უფროსი
4. მაია ჩხაიძე -ჯგუფის წევრი მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.
5. სოფიკო ორაგველიძე -ჯგუფის წევრი მერის ინფრასტრუქტურის,სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
6. ვახტანგ შალიკაშვილი--ჯგუფის წევრი- მერის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
7. ზაზა წულაძე- ჯგუფის წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიის თავმჯდომარე.
8. გოჩა მოქია- ჯგუფის წევრი- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი
9. მანანა გოგუაძე- ჯგუფის წევრი-საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დადამიწის მეგობრები(საქართველო) კოორდინატორი გურიის რეგიონში.

პირველ შეკრებაზე მოწვეული იქნა სხვადასხვა სამსახურების, საკრებულოს,პრესის, არასამთავრობოს წარმომადგენლები. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შესამუშავებლად დეტალური სამუშაო გეგმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე

პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობას, რომლებიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავისი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“

არსებული სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ხარჯებიდან, მოთხოვნის შესაბამისად.

ახალ მანქანებზე ხელშეკრულება არის გაფორმებული შპს „ჯი-თი-გრუპ“თან ქ.თბილისი 7000 ლარზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვას.

ყოველდღიურად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან გატანილი ნარჩენების

აწონვას ნაგავსაყრელზე ახორციელებს შპს „მყარი ნარჩენების კომპანია“

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის განმარტებით 2021წ ლის მონაცემების შესაბამისად ა (ა) იპ „ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ პირდაპირი ხარჯი ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვება გატანის მომსახურების გაწევისათვის შეადგენს:

შეგროვებისთვის--

ტრანსპორტირებისთვის--

ხოლო არაპირდაპირი ხარჯების სტრუქტურა შემდეგი სახისაა;

1. ხარჯი შეგროვილი ნარჩენების ოდენობის მიხედვით--
2. ადამიანური რესურსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაში ჩართული ადამიანური რესურსი (ადგილობრივი ნარჩენების მართვის ააიპ/შპს-ს პერსონალი)

ადამიანური რესურსი	რაოდენობა
მენეჯერი(დირექტორი)	1
ინჟინერი/ტექნიკოსი	არა
ადმინისტრაციული პერსონალი	47
მუშა	-
ნარჩენების შეგროვება	12
ქუჩების დასუფთავება	
ხეების დაბეღვა/ბალახის მოჭრა	12
მეზოვე	-30
ქუჩების დასუფთავება	
მძღოლები	-13
ნარჩენების შეგროვება (ნაგავმზიდის მძღოლები)	6

*ინფორმაციის წყარო - მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ნარჩენების მართვის ა(ა)იპ

3. შესრულებული რეისების შესახებ მონაცემები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნაგავმზიდების მიერ შესრულებული მარშრუტის შესახებ ინფორმაცია

პარამეტრი	განზომილება (დრო, კმ, რაოდენობა)
ერთი სრული მარშრუტი საჭირო საშუალო დრო (სთ)	6 საათი
ერთი სრულიმარშრუტი საშუალო მანძილი (კმ)	76 კმ
ერთი სრული მარშრუტი განმავლობაში დაცლილი კონტეინერების საშუალო რაოდენობა	16-17 კონტეინერი

გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლება მოსილებაა,ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში.

რაც შეეხება მომხმარებელთა მიერ დასუფთავების ათვის გადახდილი მოსაკრებლის ოდენობა 2021 წელს შეადგენდა -6196,50 ლარი, ხოლო 2022წელს 00000

ლარს.მოსაკრებლის გადამხდელი არის კომერციული და იურიდიული პირები.

მოსაკრებლის ადმინისტრირება(ამოღება) ვერ ხორციელდება სრულყოფილად.ამ მიმართულებით ლანჩხუთის მერია და ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს დაგეგმილი აქვს საქართველოში დანერგილი საუკეთესო

პრაქტიკის გამოყენების მეშვეობით მოახდინოს მოსაკრებლის ადმინისტრირება, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი დაფინანსების მინიმუმაცია ბიუჯეტის მეშვეობით.

არალეგალური ნაგავსაყრელები ძირითადად სოფლებში მდინარისა და ღელის პირას არის მიმოფანტული.

მუნიციპალიტეტში არ ხდება აღდგენას დაქვემდებარებული ნარჩენების ცენტრალიზირებული შეგროვება და გატანა .ასევე, მუნიციპალური ნარჩენის სეპარირება. ასევე არ არის დანერგილი კომპოსტირების პრაქტიკა.

ა) საზოგადოების გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვის ინტერესს წარმოადგენდა შემდეგი ინფორმაცია;

1. ინფორმაცია ნარჩენების ტრანსპორტირების ინტენსივობის შესახებ
2. ინფორმაცია ნაგავშემკრები კონტეინერების ირგვლივ არსებული მდგომარეობის შესახებ
3. ინფორმაცია ნაგავშემკრები კონტეინერების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ
4. ინფორმაცია ერთი ოჯახის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების სავარაუდო ოდენობის შესახებ
5. ინფორმაცია სპეც.ტექნიკის (ნაგავმზიდის)ფიზიკური მდგომარეობის შესახებ
6. ინფორმაცია ნაგავშემკრები კონტეინერების შესახებ

გ) მყარი ნარჩენების მართვის არსებული სიტუაციის აღწერა

ლანხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვა ხორციელდება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ,რომელსაც მუნიციპალური ნარჩენები გააქვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფეთის ნაგავსაყრელზე, ოზურეთის მერიის ნაგავსაყრელზე, ურეკის გადამტვირთ

სადგურზე .

მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ნარჩენების წონას ადგენს ა(ა) იპ კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით, რომელიც აქვთ მძღოლებს და მასში ფიქსირდება ნაგავსაყრელზე შეტანილი ნაგვის რაოდენობა ნაგავსაყრელზე მომუშავე პასუხისმგებელი პირისა და მანქანის მძღოლი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება ხდება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ მონაცემებს გვაწვდის შპს „მყარი ნარჩენების კომპანია“

#	თვე	განზომილება	2021 წელი	2022 წელი
	იანვარი	ტონა	718	725
	თებერვალი	ტონა	628	702
	მარტი	ტონა	715	763
	აპრილი	ტონა	705	865
	მაისი	ტონა	750	1042
	ივნისი	ტონა	678	1034
	ივლისი	ტონა	919	1123
	აგვისტო	ტონა	1024	1384
	სექტემბერი	ტონა	797	1224
	ოქტომბერი	ტონა	673	1076
	ნოემბერი	ტონა	688	669
	დეკემბერი	ტონა	776	662

სამუშაო ჯგუფის მიერ გაანგარიშებული იქნა მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ზრდის სავარაუდო ხუთ წლიანი პროგნოზი, პროგნოზის დროს გათვალისწინებული იქნა საკურორტო ზონაში მუდმივი მოსახლეობისა და ტურიზმის რაოდენობის ზრდა წლიურად 3/5 %-იანი მაჩვენებლით. ასევე სერვისის მიწოდების არეალის ზრდა

და ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც განაპირობებს მასთან დაკავშირებული ინფასტრუქტურის განვითარებას.

როგორც ვიცით, მომსახურეობის არეალში კონტეინერების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმომქმნელებისაგან, რუმელთაც ისინი უნდა მოემსახურონ, არ უნდა აღემატებოდეს 150-200-მ-ს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა უახლოეს პერიოდში „საქართველოს მუნიციპალური განითარების ფონდის“ მეშვეობით მოპოვებული გრანტისა და აღებული სესხის საშუალებით, შეიძინა მერსედესის მარკის სამი ავტომანქანა და 100 ცალი 1,1 კბ.მ ტევადობის სტანდარტული კონტეინერები. 2021 წელს შემოვიდა კიდევ რამდენიმე ავტომანქანა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდება ნარჩენების გატანის სერვისი, რაც გამოწვეულია რიგი მიზეზებით;

ა) ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა

ბ) ურნების ნაკლებობა

გ) გზების მდგომარეობის გამო მძიმე ტექნიკის გადაადგილება

გართულებულია გარკვეულ უბნებში

ნაგვის ურნების რაოდენობა ტეროტორიული ერთეულების მიხედვით

#	ტერიტორიული ერთეული	სოფელი	არსებული	საჭირო	სულ
1	აცანა	აცანა ტელმანი	44	12	56
2	აკეთი	გაგური, ზემოაკეთი ქვემო აკეთი, ჭანჭათი		84	84
3	მამათი	კონჭკათი, მამათი, ქვემო	7	32	39

		მამათი,შათირი			
4	ნიგოთი	ნიგოთი,ქვიანი,ჯაპანა, ჩოლობარგი,ჭყონაგორა, ჯიხეთის მონასტერი	45	64	109
5	შუხუთი	ზემო შუხუთი,ქვემო შუხუთი	58	25	83
6	მაჩხვარეთი	მაჩხვარეთი,ორაგვე, ჯუნმერი	20	30	50
7	გვიმზალაური	გვიმზალაური ,ჯუნეწერი	91	28	119
